# „ინფორმირებული ამომრჩეველი 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის“

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

მიზანი: კახეთში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების ინფორმირება 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის და მათი საარჩევნო პროცესში ჩართულობის ხელშეწყობა




ამოცანები:

- არჩევნების მნიშვნელობის გაცნობა;
- საარჩევნო პროცედურების გაცნობა;
- საარჩევნო სუბიექტებისა და მათი პროგრამების გაცნობა;
- საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერება;
- საგანმანათლებლო ტრენინგ-სემინარის ჩატარება.

პროექტის ფარგლებში მოვამზადეთ ვიდეო გამოკითხვა თემაზე: „რა იციან ეთნიკურმა აზერბაიჯანელებმა საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ“, რომელიც 30 აგვისტოს გამოქვეყნდა, იორმუღანლოს ქართულ-აზერბაიჯანული სათემო რადიო „ივრისის“ ვებგვერდებზე (www.ivrisi.org.ge; www.radio.speqtri.ge) და ვებპორტალზე (www.speqtri.ge).



[Video] „არჩევნების როლი და მნიშვნელობა დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში“

იმ მიზნით, რომ სამიზნე აუდიტორიისთვის შინაარსი გასაგები ყოფილიყო, ვიდეოსიუჟეტი მომზადებულია ქართულ-აზერბაიჯანული ტიტრებით.

http://www.speqtri.ge/multimedia/video/article/29294-arcevnebis-roli-da-mnisvneloba-demokratiuli-saxelmwifos-camoyalibebis-processi-video

**http://radio.speqtri.ge/?p=765**

## პროექტის ფარგლებში მომზადდა:  საინფორმაციო ჩანართი, პოსტერი და ტრიპლეტი







➢ რადგან კახეთის რეგიონში 32 354 ეთნიკური აზერბაიჯანელი ცხოვრობს, ტრიპლეტები დაიბეჭდა 9 700 ტირაჟით, რაც საერთო რაოდენობის 30 %-ია, ამავე რაოდენობით დაიბეჭდა საინფორმაციო ჩანართი, ხოლო პოსტერის ტირაჟი იყო 2000 ეგზემპლარი.

ნაბეჭდი მასალის საერთო ტირაჟმა შეადგინა 21 400

ვიდეორგოლი თემაზე: „მე მივდივარ არჩევნებზე, იმიტომ რომ...“

- კახეთში მცხოვრები აზერბაიჯანულენოვანი ახალგაზრდები, აქცენტებს აკეთებენ არჩევნებში მათი ჩართულობის შესახებ და მოუწოდებენ თემის წარმომადგენლებს მივიდნენ საპრეზიდენტო არჩევნებზე.













http://www.speqtri.ge/multimedia/video/article/29327-me-mivdivar-archevnebze-imitom-rom-video

ერთდღიანი საგანმანათლებლო ტრენინგ-სემინარი მიმდინარეობდა იორმუღანლოს სათემო რადიო „ივრისის“ ოფისში,, სადაც მოვიწვიეთ ავტოტურის დროს შერჩეული 20 მოხალისე.  ტრენინგს უძღვებოდა მოწვეული კვალიფიციური ტრენერი: ნინო იოსელიანი.





ტრენინგის თემა იყო: აქტიური მოქალაქეობა და ახალგაზრდების ჩართულობა საარჩევნო პროცესში, არჩევნების ისტორია საქართველოში და ქალთა ჩართულობის მნიშვნელობა არჩევნებში, ამომრჩევლისა და დამკვირვებლების, მათ შორის მასმედიის წარმომადგენლების უფლება-მოვალეობები და სხვა

- ტრენინგის ხანგრძლივობა იყო 11-დან 18 საათამდე, ყავის შესვენებებით და ლანჩით; დაესწრო 5 ქალი და 15 კაცი, აზერბაიჯანულენოვანი თემიდან

საინფორმაციო მასალა გავავრცელეთ კახეთის სამი მუნიციპალიტეტის 13 აზერბაიჯანულენოვანი სოფლის ტერიტორიულ ორგანოებში, მეჩეთებთან,  საკვირაო ბაზრების ტერიტორიაზე, საუბნო ბირჟებზე, სადაც თავს იყრის თემის ძირითადი მოსახლეობა.














გამოწვევები:

**ტრენინგის მონაწილეების შერჩევა გენდერული ბალანსის გათვალისწინებით**

- ქალების ჩართულობა პროექტის ყველა აქტივობაში

შედეგები:

**აზერბაიჯანულენოვანი თემის 20-მა ახალგაზრდამ მიიღო ამომწურავი ინფორმაცია არჩევნების მნიშვნელობისა და საარჩევნო პროცედურების შესახებ**

- პროექტის განხორციელების შედეგად, კახეთის ეთნიკური აზერბაიჯანელების 30-მა პროცენტმა მიიღო ინფორმაცია საარჩევნო პროცედურებისა და საკუთარი უფლება-მოვალეობების შესახებ.

მადლობა  ყურადღებისათვის